აბიტურიენტის უფლება-მოვალეობები

<u>აბიტურიენტი ვალდებულია:</u>

1. გამოცხადდეს გამოქვეყნებული განრიგით გათვალისწინებული შემოქმედებითი ტურის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე და გაიაროს რეგისტრაცია; რეგისტრაციის გავლისას აბიტურენტმა უნდა წარადგინოს საგამოცდო ბარათი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
2. წერით გამოცდებზე აბიტურიენტმა 1. პუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტაციის გარდა თან იქონიოს მხოლოდ ფანქარი, საშლელი, სათლელი, კალამი, წყალი;
3. იმ შემთხვევაში, თუ გამოცდების ეროვნულ ცენტრში რეგისტრაციისას აბიტურიენტმა განაცხადში მიუთითა კონსერვატორიის რამდენიმე პროგრამა/სპეციალობა, მან კონკურსი უნდა გაიაროს მის მიერ დასახელებულ ყველა პროგრამისთვის/ სპეციალობისთვის გათვალისწინებულ შემოქმედებით ტურში;
4. გამოცდის დასრულების შემდეგ საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელს ჩააბაროს გამოცდაზე გამოყენებული ყველა ფურცელი;
5. შეასრულოს წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები და საგამოცდო კომისიის წარმომადგენლის ცალკეული მითითებები;

<u>შემოქმდებითი ტურის მსვლელობისას აბიტურიენტს ეკრძალება:</u>

1. ნებისმიერი ელექტრონული საშუალების (მობილური ტელეფონი, ხმის ჩამწერი საშუალებები, ფოტო და ვიდეო კამერები და სხვ.) გამოყენება;
2. საგამოცდო პროგრამის/წერითი ნამუშევრის დასრულებამდე გამოცდიდან გასვლა;
3. საგამოცდო მასალებზე დამატებითი ინფორმაციის მითითება;
4. ქაღალდის, კონსპექტების, „შპარგალკების“, წიგნებისა და სხვა მასალების შეტანა/ გამოყენება;
5. სხვა პირის დახმარება, სხვისგან დახმარების მიღება, ამის მცდელობა ან სხვა პირის ხელშეწყობა დახმარების მისაღებად;
6. გამოცდის მსვლელობისას საუბარი, ხმაური, ჟესტიკულაციის გამოყენება;
7. სხვა აბიტურიენტისთვის ხელის შეშლა ნებისმიერი ფორმით;
8. გამომცდელის მითითებების შეუსრულებლობა, მითითებების გაპროტესტება გამოცდის მსვლელობისას ან გამომცდელის შეურაცხყოფა;
9. გამოცდაზე იკრძალება საკვების შეტანა და საღეჭი რეზინის გამოყენება. აღნიშნული არ ვრცელდება განსაკუთრებულ შემთხვევებზე (რის შესახებაც წინასწარ უნდა ეცნობოს კომისიას);
10. ზემოაღნიშნულ პუნქტში მითითებული თუნდაც ერთ-ერთი ქვეპუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში აბიტურიენტი ერთჯერადი გაფრთხილების შემდეგ იხსნება გამოცდიდან.